რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) ინსტიტუციონალიზაცია და მისი გამოწვევები საქართველოს მაგალითზე

ანა ბენდელიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების სამაგისტრო ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების

სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელი მოწვეული ლექტორი შორენა კახიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი,2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ბენდელიანი

15.06.2023

აბსტრაქტი

დღესდღეისობით, დემოკრატიული ღირებულებების პოლიტიკაში დანერგვა საერთაშორისო მასშტაბით უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. ხოლო დემოკრატიული პოლიტიკის შემუშავების ხარისხი გამომდინარეობს პროცესიდან, რომელიც არის პროგნოზირებადი, გამჭვირვალე, მონაწილეობითი და ანგარიშვალდებული. ამ ტიპის პროცესი ხელს უწყობს გადაწყვეტულებების მიღებას, რომლებიც არის ლეგიტიმური, გამართლებული, ეფექტური და პროპორციული.

ყოველივე ეს კი მოიცავს კარგი მმართველობის პრინციპებს, სადაც მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტი არის რეგულირების გავლენის შეფასება, რომელსაც ნაშრომში განვიხილავთ. ის იძლევა შესაძლებლობას გაანალიზდეს მარეგულირებელი ქმედების დადებითი და უარყოფითი გავლენები.

მოცემული კვლევის მიზანი, კი არის ისეთი საკითხების შესწავლა, როგორიც არის კარგი მმართველობის პრინციპების ჩამოყალიბება, საკანონმდებლო ბაზების დახვეწა და აღმასრულებელი ხელისუფლების ინსტიტუტების შესაძლებლობების განვითარება.

ნაშრომში განხილულია რეგულირების გავლენის შეფასება, როგორც ინსტრუმენტის არსი და მნიშვნელობა. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, წარმოდგენილია ინფორმაცია მეზობელი ქვეყნების, პოსტსაბჭოთა ქვეყნის, ევროპის წევრი და არაწევრი ქვეყნის მაგალითები. ასევე დეტალურად არის წარმოდგენილი საქართველოში ამ ინსტრუმენტის დანერგვის პროცესი და არსებული ჩარჩო.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება არის სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი კვლევები, არსებული ლიტერატურის მიმოხილვა და საქართველოს მართვის სისტემაში დღემდე გატარებული ან დაგეგმილი მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც რეგულირების გავლენის შეფასების ინსტრუმენტის დანერგვაზე ახდენს გავლენას.

კვლევის შედეგები საინტერესო იქნება რეგულირების გავლენის სფეროს საკითხით დაინტერესებული პირებისთვის.

ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნა კი, საკითხით დაინტერესებულ პირებს, გააცნობს ამ ეტაპზე რეგულირების გავლენის შეფასების მიმართულებით ქვეყანაში არსებულ გამოწვევებსა და რეკომენდაციებს.

საკვანძო სიტყვები: კარგი მმართველობის პრინციპები, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა, საქართველო, რეგულირების გავლენის შეფასება.

Abstract

Nowadays, the implementation of democratic values in politics is gaining more and more importance internationally. And the quality of democratic policymaking derives from a process that is predictable, transparent, participatory, and accountable. This type of process contributes to decisions that are legitimate, justified, effective and proportionate.

All this includes the principles of good governance, where one of the tools of evidence-based policy is the impact assessment of regulation, which we discuss in the paper. It provides an opportunity to analyze the positive and negative effects of regulatory action.

The purpose of this research is to study such issues as the establishment of principles of good governance, improvement of legal frameworks and capacity development of institutions of executive power.

The paper discusses the essence and importance of regulation impact assessment as a tool. In order to share international experience, information is presented on examples of neighboring countries, post-Soviet countries, member countries of Europe and non-member countries. The process of implementing this instrument in Georgia and the existing framework are also presented in detail.

The practical value of the paper is various international and local studies, review of the existing literature and important changes carried out or planned in the management system of Georgia, which affect the implementation of the regulatory impact assessment tool.

The results of the study will be of interest to those interested in the issue of the sphere of influence of regulation.

The conclusion presented in the paper will inform the persons interested in the issue about the challenges and recommendations in the country in the direction of assessing the impact of the regulation at this stage.

Key words: principles of good governance, evidence-based poetics, Georgia, regulatory impact assessment.